დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრების როლი ადვოკატირების პროცესებში

ნანა ორთოიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სპეციალური განათლების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ცირა ბარქაია, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

მადლობა

მადლობას ვუხდი, ოზურგეთის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის თავმჯდომარეს - ფიქრია ბარამიძეს, ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის თავმჯდომარეს - რამინ მაჭარაშვილს, ლაგოდეხის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის თავმჯდომარეს - ქეთევან ჯანიაშვილს, თელავის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის თავმჯდომარეს - ელენე მჭედლიშვილს, გაწეული დახმარებისა და აქტიური თანამშრომლობისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ქალბატონ ცირა ბარქაიას, რომელიც აქტიურად მაძლევდა რეკომენდაციებს და მეხმარებოდა კვლევის ეტაპების სწორად წარმართვაში.

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. აღნიშნულ სამაგისტრო ნაშრომში გარკვეული პასაჟები გამოყენებულია ჩემ მიერ აკადემიური წერის სიმულაციური სამაგისტრო ნაშრომში.

ნანა ორთოიძე

24.06.2025 წ.

აბსტრაქტი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირები არაერთი სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი ბარიერის წინაშე დგანან, რაც ზღუდავს მათ სრულფასოვან მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ბარიერები მოიცავს ინფრასტრუქტურულ მიუწვდომლობას, განათლებასა და დასაქმებაზე შეზღუდულ წვდომას, სტიგმას, დისკრიმინაციას. ადვოკატირება ამ გამოწვევებზე რეაგირების ეფექტიანი სტრატეგიაა, რომელიც ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას, პოლიტიკის და კანონმდებლობის ცვლილებას, ასევე შშმ პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების და უფლებრივი დაცვის უზრუნველყოფას.

სამაგისტრო ნაშრომი ეფუძნება ჰუმანური უფლებების პარადიგმასა და დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფიას და მიზნად ისახავს საქართველოში არსებული დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრების როლის ანალიზსა და შეფასებას ადვოკატირების მრავალდონიან პროცესებში. კვლევა შეისწავლის სტრატეგიებსა და მექანიზმებს, რომლებიც უწყობენ ხელს შშმ პირთა უფლებრივ გაძლიერებას, თვითწარმოდგენას და სისტემურ ჩართულობას ადვოკატირებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირების უნარების განვითარების გზით ინდივიდუალური, კოლექტიური გავლენის გაძლიერებას და პოლიტიკის პროცესებში მონაწილეობის ზრდას.

კვლევა ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიას - რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზს. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს 2020–2025 წლების პერიოდის სტატისტიკას (ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების რაოდენობა, მონაწილე პირების ოდენობა, ადვოკატირების შემთხვევების დინამიკა, მომსახურების მიმღებებისათვის მიწოდებული მომსახურებების სახეები), ხოლო ხარისხობრივი ნაწილი წარმოადგენს ექვსი დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის (ბათუმი, ლაგოდეხი, თელავი, ოზურგეთი, ქუთაისი, ზუგდიდი) საქმიანობის შემთხვევების კვლევას და სტრუქტუირებულ ინტერვიუებს.

ცენტრების საქმიანობის ანალიზი ცხადყოფს მათ მნიშვნელოვან როლს ადვოკატირებაში, რაც აერთიანებს სამართლებრივ მხარდაჭერას, სტრატეგიულ ლობირებას, საგანმანათლებლო აქტივობებსა და საზოგადოებრივ კამპანიებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბათუმის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის სტრატეგიულ სამართლებრივ ქმედებებს.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრების ეფექტიან საქმიანობას ხელს უშლის ინსტიტუციური მხარდაჭერის არათანმიმდევრულობა, ფინანსური მდგრადობის ნაკლებობა, შშმ პირთა დაბალი მონაწილეობა პოლიტიკის დაგეგმვის პროცესებში და ინკლუზიური მმართველობის მექანიზმების სისუსტე. ნაშრომში შემოთავაზებულია რეკომენდაციები, დასკვნები და მიგნებები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი, ადვოკატირება, ცნობიერების ამაღლება, შშმ პირი, სსსმ პირი.

Abstract

Persons with disabilities and special educational needs, face many social, economic and legal barriers, that limit their full particifation in social life. These barriers include inaccessible infrastructure, limited access of education and employment, stigma and discrimination. Advocacy is considered as an effective strategy to address these challenges by rising awereness, influencing policy and legislative changes and ensuring equal opportunities and legal protections for people with disabilities.

This Master's thesis is based on the human rights paradigm and the philosophy of independent living. It aims to analyse and access the role of Indipendent Living Centers in multi- level advocacy processes. This research examinees the strategies and mechanisms that promote the empowerment of persons with disabilities, self-representation and systemic involvement in advocacy. Special attention is placed on strengthening both individual and collective empowerment and increasing participation in policy proccesses through awareness-raising and advocacy skills development.

The study employs a mixed-methods approach, combining quantitative and qualitative analysis. The quantitative component includes statistic data from the 2020-2025 years (e.g., number of awareness-raising events, number of participants, dynamics of advocacy cases, types and volume of services delivered to beneficiaries) and the quantitative component involves case studies of six Indipendent Living Centers (Batumi, Lagodekhi, Telavi, Ozurgeti, Kutaisi and Zugdidi) and structured interviews.

The analysis of the center's activities highlights their important role in advocacy, encompassing legal supports, strategic lobbying, educational initiatives and public compaigns. Particular importance is attached to the stragegic legal actions of the Batumi center.

The results of study confirm that the effective work of the Independent Living Centers iis hindered by inconsistent institutional support, lack of financial sustainability, low participation of people with disabilities in policy planning processes and weaknesses of

inclusive governance mechanisms.

The thesis also concludes with recommendations, findings and conclusions.

Key terms: Indipendent Living Centers, advocacy, awareness-raising, persons with disabilities, persons with special educational needs.